ISSN 0132-6015

7 აპრილი 1991

ერმა იზვიადა!-
გაიტანა ლელო!-
7-ში ქრისტე აღსდგა,
9-ში-საქართველო!

ო, მასკუუ, მასკუუ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატელეფონო საუბარი სამაჩაბლოელ ტორეზსა და მოსკოველ მიშას შორის

პიესა-პაროდია

— ო, მასკუუ, მასკუუ, მიშა დომაა?!

— დომა, დომა! ა კტო ეტო გავარიტ?!

— ტავარიშჩ მიშა, ეტა ტორეზ გავარიტ სამხრეთ ოსეთიდან! გვიშველე, სენი წილიმე, გამსახურდია გაგაუქმათ და დაგაპატიმრათ კიდეცა!..

— ალო, ალო! კაკოი ეშჩო ტორეს? ნეუქელი ლოლიტა ტორეს?!

— ნეტ, მიშა, სენი წილიმე, ნე ლოლიტა ტორეს, ა ტორეზ კულუმბეგოვ, სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი!

— და, ტავარიშჩ კულუმბეგოვ, ია ზნაიუ, კაკ ვი ბეზატლაჰატელნო ბაროლის ზა ეტო მესტო! ვი ეგო ი პოლუჩილი!

— ეჰ, ტავარიშჩ მიშა, რაზვე შეიძლება ამხელა პოსტის კაცის ციხეში ჩასმა?! სიჩას ალანა იშჩუტ. ხოც სკორო პაიმალი ეწი გრუზინი, ატო, ადნამუ ოჩენ სკუჩნო, ტავარიშჩ მიშა! ვი უე აბეშჩალი, სენი წილიმე, რომ თქვენ დაიწუეთ, ჩვენც მივაწვებითო?!

— ა ჩტო, რაზვე არ ვაწვებით?! უ ტებია ტამ ვ კამერე ესტ ტელევიზორ?

— და, ესტ!

— ნუ ი ხარაშო, სმატრი, ჩტო ი კაკ პერედაიუტ ნაში! ვ სამომ დელე �ე ნელზია ვსიო სრაზუ სძელაც! მასკვა ნე სრაზუ სტროილას!

— ეჰ, მიშაჯან, ცხინვალი ტოუე ნე სრაზუ პასტროილი ეტი გრუზინი, კაკ ვი დუმაიწე, ტავარიშჩ მიშა, ჩტო მნე ძელაც?!.

— ნიჩეგო, ნადა სიდეც ი ჟდაც! ზა როდინუ ნადა სტოიაც! ვი პომნიწე, კაკ ბაროლსია პლამენნი რევოლუციონერ კამო?

— ჩტო, ვი ხაწიწე, ჩტო ია ტოუე კაკ ონ და?..

— ნეტ, ნეტ, პაკა ნეტ. ნო, ესლი პრიდიოტსია, ნე დალჟნი ატკაზაც! ხარაშო პომნი, ვსიაკოე ბალშოე დელო ბეზ ჟერტვი ნე დელაეტსია! ა, კაკ ვი ხატელი, ტავარიშჩ ლოლიტა ტორეს?!

— ნეტ, ტავარიშჩ მიშა, ს ვამი ტორეზ კულუმბეგოვ გავარიტ!

— და, იზვინიწე, ტავარიშჩ კულუმბეგოვ, ნო ეტო სიჩას უჟე ნე იმეეტ ზნაჩენია!

— ტუუ-ტუუ-ტუუ!..

— ალო, ალო!.. ტავარიშჩ მიშა, მიშკა, მიშკა, შენი!..

ტელეფონისტი ქალი: რაზგავორ ს მასკვოი ოკონჩენ!

კოგა კოგაიძე

ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ჩოშყაშო ისაყაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზარმონევ, დაუკარი!..

მეგარმონევ, დაუკარი, —
ტიკო-ტიკო,
ტაკ-ტიკ-ტიკო, —
მე კრიტიკულ ლექსს ვიმღერებ,
თუმცა რა გვაქვს საკრიტიკო?!
ფანტასტიკურ ფრთებს უფურჩქნის
დრო ხოხოს და სირგოს მიზნებს;
ჩვენ თანდათან ვცოტავდებით,
საქართველო რჩებათ ხიზნებს!..
ქართველთ შორის
ვისაც ეს სწყინს,
მე, პირადად, ვარქმევ ბითურს!
გაუმარჯოს ლ ე ნ ი ნ უ რ გზას —
ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ს!
ახლა ძველ მანგს მაზიარე,
პანგს, დაწურულს ბრძენი ხალხის,
იქნებ წალმა მომეჩვენოს
ბრუნვა ჩვენი ბედის ჩარხის!

მიწა არ მთხოვო, დუშმანო!

მიწა არ მთხოვო, დუშმანო,
ჩვენთა მართველთა საფრენი,
თორემ განანებ!
ს ე რ გ ო ს ი
არ მცხია მე არაფერი!
განანებ-მეთქი! —
მეტს გიზამ! —
დაგფშვნი, ვით გამხმარ წიწაკას!
წადი, იქ დამკვიდრ-დასახლდი,
სად ჩემზე მეტი მიწა გაქვს!
— მე ის ქართველი მეგონე, —
ჩამესმა ყურში, — ბ ო დ ი შ ი,
მიწებს ფულზე რომ უხვად ცვლის
გარდაბან-დმანის-ბოლნისში!..

●

მუდამ, როცა კი
პირს აქეთ ვიზამ,
უფრო, იცი რა
ახარებს თვალებს? —
მთაკუთხეს ახე
მკვეთრად აჩნიხარ,
ვით მოვარსკვლავულ
ცას მწიფე მთვარე!
ჰოდა, თუ ძმა ხარ,
დროს ნუ აჰყვები,
ნუ, ხოფლიდან ნუ
აიხარგები! —
ქალაქში — ხალხის
ჰუჰყიან ზღვაში —
ბექდის თვალივით
დაიკარგები!..

●

მადლობა ღმერთს,
იმათ შორის,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ვინაც მართავს,
უნდა — ბატკანს რო მიირთმევს,
უნდა — მწყერს და უნდა —
ხათალს,
მამულს ყველა არ ყიდის,
ბევრს ვაშლიც კი სძაგს წითელი,
თორემ კიდევ მეტს გვიზამდა
ოხერი დრო აწინდელი!

1989 წ.

კაკო მემანიშვილის მიერ უთვალავი ხუმრობის გარეშე წარმოთქმული მონოლოგი

ყველამ უწყით, რაჭის მკვიდრებს
რა დოვლათიც გვაბადია,
მაგრამ ჩვენს მზეს,
მთებს და ჭალებს,
საარაკო, ზღვა მადლი აქვთ!
აქ თუ ისე გაირჯები,
ლონეს ოფლით გაარწყალებ,
მეტს თუ არა, საუკუნეს
უსათუოდ დაამრგვალებ!
ისე, ჩვენში დარჩეს, ჰოდა,
ქვე რა არი ასი წელი?!
მე, პირადად,
ბევრად მეტის
მინდა ვიყო მასპინძელი!
თუ ყვავისთვის არ იშურებს
ზენა ბევრთა წელთა ნობათს,
რა იქნება, ჩვენც მოვესწროთ
ორას ბლობას და ყურძნობას!

ვერლიბრისადმი მიძღვნილი ლექსი

ვაზის ლამაზ შვილს
მადლი სულ რო
არ გავადინოთ,
და შაქარ-ჰაჰის
ნადუღ-ნაყენს
ვუწოდოთ ღვინო, —
სხვისი არ ვიცი, —
მე კი ნაღდად
ამგვარად მესმის,
ვ ე რ ლ ი ბ რ ი, ანუ
ჩვენს ენაზე —
ურითმო ლექსი!
ვამთავრებ ამ აზრს
და ცალ ყურში
ჩამძახის ვინცხა:
„შენ და შენფერნი
ურითმო ლექსს
რად ემდურითო?!“
ურითმო ლექსს კი
არ ვემდური,
მე იმას ვკიცხავ,
ლექსად მონათლა
ნააზრევი ვინაც ურითმო!

შვილისაგან გამწარებული მშობლის ამონატირლევი

მტერიც კი არ დამაყრიდა
იმ დღეს,
შენ რომ დამაყარე! —
ცოცხლად მმარხავ?!
მომკალი და
მიწა მერე დამაყარე!
ო, მიწა მკვდარს დამაყარე
და თავს ბედნიერად ჩავთვლი! —
ნუ იკადრებ, მიწის ზემოთ,
მზისქვეშ დამესიოს მატლი!
ეს ისე ვთქვი,
თორემ, ვიცი,
შენზე ცუდი
რამ რომ არ თქვან,
მკვდარს, სახლსაც კარგს
გამიკეთებ,
ქელეხსაც კარგს გამიმართავ!

●

როცა ვხარობ შენი ხილვით,
მიტომ ვწრუპავ ნაქებ ღვინოს, —
დამავიწყოს ხიძულვილი,
სიყვარული მათქმევინოს!
მ ზ ა რ ა ვ ს
ს ა ხ ე შ ე ჭ მ უ ხ ნ ი ლ ნ ი,
ძლივს რო ხვამენ
ვისკს თუ არაყს!..
ოქრომტევნის ზღაპრულ
მ ა დ ლ თ ა ნ
უთვალავ მადლს
მ ი უ ქ ა რ ა ვ ს!

მტაცებლების კრებაზე

ერთ საღამოს მტაცებლებმა
მოიწვიეს მოლზე კრება
და გულდასმით მოისმინეს
ლომის ვრცელი მოხსენება.
ბრძანა ლომმა: — „არ დავინდობთ
არც ნათესავს,
არც მეგობარს,
უმკაცრესად დავსჯით ყველას,
ვინც არ იშლის მტაცებლობას!“
ამ მოთხოვნას,
მოჩვენებითს,
ოვაციით შეხვდა ყველა,
კამათის დროს, ტრიბუნაზე,
სულ პირველი შეხტა მელა,
ხმა „ბორჯომით“ ჩაიწმინდა,
გადაისვა თმაზე ხელი
და თქვა: — „ცამდე მართალია
ჩვენი დიდი განმგებელი!
რა დავმალო,
ამ ბოლო დროს,
კურდღლის ცოდვებს
ვერც კი დავთვლი! —
დღე და ღამე ხოსტნებშია,
ავყია და მუხანათი!
დღეს რისთვისაც შევიკრიბეთ,
თრითინამაც კარგად იცის,
მაგრამ ახლაც იმას ფიქრობს,
სად დაამლეს ქორფა წიწილს!“
— „რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი!“
— „ერთი წუთით
მომაპყარით სმენა კიდევ!
ამ საქმეში პატიოსან
ტყიურებსაც ბრალი გვიდევს:
ხშირად ხელებს გულზე ვიკრეფთ,
დამნაშავეს დროზე არ ვსჯით,
ამის გამო არის სწორედ
მუსრს რომ ავლებს ყანებს მაჩვი!
— „როცა სიტყვით თავს
ინილბავ“, —
აბურდღუნდა მაჩვი სკამზე, —
ქათმის ბუმბლი მაშინ მაინც
მოიცილე შენ ნიკაპზე!
ჩამოდი ძირს!“ —
მაჩვის წყრომას
თითქმის ყველა ერთხმად აჰყვა,
ლომს რო ტუჩზე სისხლი ეცხო,
ის კი ვერვინ დაინახა!

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიმშილობანა

— ალო!.. ალო!..

— გისმენთ, ბატონო, გისმენთ!

— დირექტორთან შემაერთეთ, თუ შეიძლება!

— არ გახლავთ, ბატონო, დირექტორი!

— ხომ ვერ მეტყვით...

— რა უნდა გითხრათ?! არ არის და მორჩა! შიმშილობს კაცი!

— მაგი კი არა, ქალბატონო, მთელი საბჭოეთი შიმშილობს, მაგრამ...

— მასე კი არა, მართლა შიმშილობს, ბატონო!

— მეც მართალს მოგახსენებთ, სიზმრად ნანახს კი არა!

— არა, ბატონო, თქვენ ვერ მიხვდით: წევს და ისე შიმშილობს!

— შიმშილი შიმშილია! წევს

რემონტში ვარ!..

იუმორესკა

— სადა ხარ, კაცო, რავა მთლად დაჩუტულხარ, სად იპარები, გაწუხებს რამე?

— შენ ის მითხარი, რა არ მაწუხებს!..

— მაინც?

— ჯერ იყო და, ხიბრემ გვარიანი პანღური ამომკრა, მერე ათასი ავადმყოფობა: წნევა, გული, ნერვები, შაქარი!..

— რაც შენ შაქრიან ღვინოს ღლანჭავდი, აბა რას გიზამდა!.. რამდენი წლისა ხარ?

— სამოცდახუთის.

— შენ?

— სამოცს მეც გადავაბიჯე.

— მერე არ გიხარია, ცოცხალი რომ ხარ?

— რაც ვიცოცხლე — ნახულია!..

— ველარ ძლებს კაცი! ჩვენი კბილანები გალმა მხარ-თეძოზე ისვენებენ!..

— წუხელ ორჯერ მომიხტა მიქელგაბრიელი და ფანჯრიდან გადმოვუხტი!..

— ახლა 80 წლისწინანდელი მკვდარი რომ გააცოცხლო, თურმე იმ წუთში დალაფავს სულს!..

— ჰო, ახლა სიცოცხლეა გმირობა და არა სიკვდილი!..

— ქალაქში რომ გეცხოვრა, ამდენ ხანსაც ვერ მოათევდი!..

— რავა, სოფელში უკეთესი ჰაერია თუ? მახსოვს, ჩემს ბალნობაში ავტომობილი სანატრელი იყო, როგორც კი სადმე გამოჩნდებოდა, გარშემო ბუზებივით ვესეოდით!..

— ახლა ფეხით სიარულს ალარავინ კადრულობს!..

— ყოველ კომლს ორი და სამი მანქანა ჰყავს, მშობლებს — ცალკე, შვილებს და სიძეებს კიდევ — ცალკე!.. სოფელში ისეთი კვამლი და ბური დგას, მალე კაცი კაცს ველარ დაინახავს!.. სუნთქვაც შეუძლებელი გახდება!.. წელს დიდი თოვლი მოვიდა, მალე ის შენი სპეტაკი თოვლი ჭუჭყით კუპრივით გაშავდა!.. ცა და მიწა რომ მოაოხრეს, ახლა აყვირდნენ, ფუწი ჩვენ, ბუნებას დაცვა უნდაო!..

— ადამიანმა, ამ საშინელმა, ცოდვილმა არსებამ თავისი დასაკლავი დანა თვითონ გამონახა, ხელში მანამდე ატრიალებს, სანამდე არ ბუთქავს და ყველაფერს არ დალუპავს!..

— ქვეყანაზე იმდენი საწამლავი და ბომბი დაგროვდა, სად წაილონ, ალარ იციან!..

— რად უნდა ბომბი, სიკვდილის მეტი რაა, მე კაცო!..

— ნამეტანი გლახად უჩხიკინებენ, ახლა მეშინია, მზე არ ჩამოაგდონ!..

— იჯექი მერე და აყვრიალე თვალები წკვარამივით ლამეში!..

— რას იზამ, მუდოსავით თვალებს წინასწარ ვერ დავითხრით!..

— რას იტყვი, ძველებურად ცოტა მაინც არ შევუბეროთ?

— არა, კაცო, სად შემიძლია, ყველა ჯიბეში წამალი მიდევს, რემონტში ვარ!..

დავით ხუროძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დგას, მაგას არა აქვს მნიშვნელობა!

— ვერ გამიგეთ, ბატონო! პროტესტის ნიშნად შიმშილობს!

— აა, ძლივს არ მივხვდი?! თუ საიდუმლო არ არის...

— რატომაა საიდუმლო, შვილს უცხადებს სოლიდარობას!

— შვილმა რაო?

— ინსტიტუტში ჩამრიცხეთ უგამოცდოდ!

— რა კარგი რამე მოუგონიათ დალოცვილებს! დავხუროთ, ბატონო, ეს ამოდენა სკოლები და გავათაოთ! მერე დავსხათ ბაღნები, ვაშიმშილოთ და ვაშიმშილოთ!..

— მაგი არაა ჩვენი საქმე!

— მართალი ბრძანდებით! იქნებ მოადგილეს სთხოვოთ!

— არ არის, ბატონო, მოადგილე!

— ხომ ვერ მეტყვით...

— შიმშილობს, ბატონო!

— თუ საიდუმლო არ არის...

— მანქანა უნდა ურიგოდ!

— იქნებ მთავარ ინჟინერს...

— არ არის, ბატონო, მთავარი ინჟინერი!

— არ მითხრა ახლა, შიმშილობსო!..

— გამოცანისა გერგებათ!

— თუ საიდუმლო არ არის...

— უცხოეთის საგზური უნდა ცოლისა და სიდედრისათვის!

— არ ყოფილა ჩემი საშველი და ისაა! იქნებ ხვალისათვის...

— არ ვიქნები, ბატონო, ხვალ მე!..

— რატომ?!

— შიმშილობას ვიწყებ!

— თქვენ რაღაზე, ქალბატონო?!

— რა ვიცი, გამოვნახავ რაიმე მიზეზს! სხვაზე ნაკლები რითი ვარ?!

ლეილა მეტრეველი

მამა ხარ, შენი ვალია!..

ცოლი რომ იმშობიარებს
და მოგახარებს — „ქ ა ლ ი ა!“ —
ასი მანეთი აჩუქე! —
მამა ხარ, შენი ვალია!..

რაკიღა შვილი გეყოლა, —
(რა ნაშიერის ბრალია?!)
უნდა არჩინო კიდევაც! —
მამა ხარ, შენი ვალია!

ბავშვი რომ წამოიზრდება,
გაუმაგრდება ძვალია,
ატარე ბაღში, სკოლაში! —
მამა ხარ, შენი ვალია!

თუ სწავლის ნიჯი არ დამყვა,
ის უფრო შესაბრალია! —
დიპლომი გაუჩალიჩე! —
მამა ხარ, შენი ვალია!

ხორცს რომ იშოვი, გახსოვდეს,
შენი არჩივი ძვალია! —
რბილი შენს პირმშოს მიართვი! —
მამა ხარ, შენი ვალია!

შვილმა თუ ღვინო დალია
და გახეთქილი მთვრალია,
„პახმელიაზე“ ხაშს აჭმევ! —
მამა ხარ, შენი ვალია!

ვაჟი რომ დაოჯახდება
და გეყოლება რძალია,
ოჯახიც უნდა ურჩინო! —
მამა ხარ, შენი ვალია!

თუ ვაჟიშვილი შემოგწყრა
და რძალიც ენამყრალია,
გასცილდი, ბინა უყიდე! —
მამა ხარ, შენი ვალია!

არ დაგავიწყდეს მანქანა
(დღეს ფეხით ძნელხავალია!)
ერთი „ეიგული“ უყიდე! —
მამა ხარ, შენი ვალია!

ოდითგან ასე ყოფილა,
ძველია, არ ახალია:
შვილების გათავხედება
ისევ მშობლების ბრალია!

ნიკოლოზ იოსებიძე

ნახ. ფ. აბაშიძისა

ჟურნალ „ეშმაკის“ ფურცლიდან





• • •

ალეში ხეკანე სხვენ ოინ-ბანი ქალაქშეფილი და ბორტეფი ვიდე. ქალაქშეფილს ინანა, ინანა, ვეფალ ბოდიანანა და ბინანეფენენ ბეფილ სანეფე დეანიდეთ:

— ბენილი ბანანა?

— ბენილი ბანანა, ბენილ ბანანა, ბენილ ბანანა!

• • •

ოლეს ხაფანი „ბანიან კლიტან“ ბანეფენ ბანეფენი:

— ბანა, ბონეფილ! ბანეფილი, ბენილ ცოლს არ ბოსენოს და ბონეფილ ბანანა ბანანანეფილეთ!..

— უფრანეფენა, ცოლი ბანანიეფილეთ! — ურანეს ბაა.

• • •

ბოლიციანელი: — ბოდეფ, ქალბატონო, ან წყალში ბანანა ბანანა ალბანეფილეთ!

ქალბატონი: რატომ არ ბოთხანთ, ეიდრე ბანეფენდეთ?

ბოლიციანელი: ალბინი ტანსაცმელს ბანდან არ ეძანეფილ!

• • •

ბეფილი ბანანიეფს ოინეფ ბეფილეფს:

— ეკეფე და ვერ ბიბეფია ჩენი საუკეთესო სოხეტი! ალბან ჩენენ ბანანა ქალაქშეფილნი ფანეფენ!..

— ნე ბაკეფეს, ბეფილეფ! ბაკეფენ კითხეფ ან ოკეფს, რატომ დაწეკეფთ!?

• • •

ცოლი ცანიანს ძალეს ბიბანანეფენა ანეფილის. ქნანი ეეფხეფენ:

— ტაეფილად წეკალიბ, ანეფილეფ ანა, ანაფენი ბანანეფენ!

— ანა ეანეფს ბა. — ეანეფენ ბენენ ეიდეი, — ბინეკეენ ბანეფენ ეენეფთანაკ ანაფენი ბანანეფილეთ!

• • •

— ეინ ბანიანეფენ, ეოკეფლეთ ბა? ოინეფენ!

— ანაკეენ, ბინანალეფ ბანანეკარი!

• • •

ბეფილ ეანანი ეანეფ ბინანანალი ბინეფ ბანანეფენ ბინეფ ბინეფენ ბინეფ ბანეფ ბანეფ ბან

...ეს ჩვენ ...!

ისევ ჩაის ნარისების შესახებ

მარტვილის რაიონში არის ასეთი სოფელი — **გაჭედილი.** სადაც ორი კოლმეურნეობაა: ერთს ჰქვია **წინსვლა.** მეორეს — **ავანგარდი.** ასეთი წამახალისებელი საბჭოური სახელების მატარებელი მეურნეობებისათვის არც წარმატებებია უცხო ხილი, ხოლო, რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, გაჭედილელები არც უხარისხო ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩებიან სხვა სოფლებს!..

„მწვანე ოქროს" ბუჩქების გლეჯა-ჭრასა და გაუბედურებაში ამ კოლმეურნეობების ავანგარდულობა და წინსვლა გასულ სეზონში ნანახმა სურათებმაც კარგად გამოამზეურეს. როცა ერთ-ერთი ფაბრიკის მიმღებ პუნქტთან გაჩერებულ, ნაგლეჯი ჩაის ტოტებით უსაშველოდ დატენილ ავტომანქანაზე მივუთითეთ და ვიკითხეთ, ვისი იყო, მუშებმა უგუნებოდ, მოკლედ მოგვიგეს: **„წინსვლა გაჭედილი!"** ე. ი. გაჭედილის „წინსვლისაო".

სხვა ფაბრიკაშიც ჩვეული ყოფითი ლაკონიურობით შეგვაგებებს: **„ავანგარდი გაჭედილი!"** რაც ნიშნავდა, — სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის" კუთვნილებააო!

„წინსვლა"... გაჭედილი!..

„ავანგარდი"... გაჭედილი!..

კოლექტიური გარჯის ნაყოფთან საკუთარ სახელთა ასეთი იშვიათი სიმბოლური თანაფარდობა ჩაის კრეფის საერთო მდგომარეობის სანიმუშო მახასიათებლად შეიძლება გამოდგეს. მეჩაიეობის ფრონტზე წინსვლა და რაიმე პროგრესი რესპუბლიკაში რომ გაჭედილდამუხრუჭებულია, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ კონკრეტულად ამჯერადაც **სამეგრელოს** ზოგიერთ რაიონს შევეხებით და ამთავითვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩაის ნედლეულის დამზადება-გადამუშავების ხარისხზე პრესაში გამოქვეყნებულმა ფელეტონებმა, კრიტიკულ-მამხილებელმა წერილებმა მიზანს მხოლოდ მიახლოებით თუ მიაღწიეს. ურჩები ისევ ურჩებად დარჩნენ! ცხოვრების ორომტრიალში ისევ გრძელდებოდა „ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა", ისევ უნამუსოდ, ურცხვად ეპყრობოდნენ მარჩენალ, ჭირთამთმენ მწვანე ბუჩქებს!.. იბილწებოდა ჩვენებური ჩაის სახელი, გადამმუშავებელი მრეწველობა კვლავ „იძულებული" იყო, დამორჩილებოდა დიქტატს — უვარგისი ნედლეული მიეღო პირველი და მეორე ხარისხით!..

შარშან, 21 აგვისტოს, **მარტვილის** რაიონის **დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკიდან კოლმეურნეობას (ყოფილი კუიბიშევის სახელობისას) უკან დაუბრუნეს მესამე ბრიგადის მოკრეფილი ახობით კილოგრამი ჭოხებიან-ღერებიანი, ხარეველებითა და სხვა მინარევებით „გამდიდრებული" ნედლეული.**

იმავე დღეს მსგავსი მწვანე მახა ტონობით ეუარა ხალხინოს კოლმეურნეობა-კომბინატის საამქროში. ადგილზე არც პუნქტის გამგე დაგვხვდა, არც — წარმოების უფროსი! ლაბორანტ იზო ნანავას ზუსტი ანალიზის გაკეთება ვთხოვეთ. სახეზე სიწითლემ გადაკრა, — ლაბორატორია მოშლილია, ხელსაწყოები არა გვაქვსო!

— ამას რა ანალიზი უნდა? — ირონიულად დასძინა მზა პროდუქციის საამქროს უფროსმა დათო ლაშხიამ და თანასოფლელთა ულირს ნახელავს გახედა.

12 სექტემბერს წალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის საამქროსთან საკრეფი მანქანებით გადაცელილი, ნახევრად დამჭკნარი ნედლეულით უწესრიგოდ დატვირთული ავტომანქანების რიგი იდგა. უხეში ულორტების გროვას ღრჭიალით, ძლივძლივობით ეწეოდა ტრანსპორტიორი ხაღნობი განყოფილებისაკენ. ნანახით შეწუხებულნი აგროკომბინატის დირექტორ შახი ლატარიას შევხვდით. ჩვენმა ნაუბარმა გაანაწყენა მახპინძელი:

— უთქვენოდაც, ვიცი, რა მდგომარეობაცაა! ყოველ-ფერი მოგვიხერხებია! ნუ შეწუხდებით! ჩაიც ჩემია, ფაბრიკაც! როგორიც გამოგვივა, ისეთ ბრიგადაც გამოვუშვებთ, რუსებს მაინც დავალეკინებთ! ...

წიწმატდა ლატარია.

პასუხი ზოგადად იქაც შევკადრეთ. ახლა კი ყველას გასაგონად ვამბობთ: **ბატონო შახი! ჩაის ნედლეულისა და მისგან მიღებული ნაწარმის ხარისხი დიდი ხანია საქართველოში პრობლემადაა ქცეული. ეს საკითხი უკანასკნელ ხანს არა მარტო სახელმწიფოებრივი, არამედ ეროვნული მნიშვნელობისა გახლავთ და ამის შეუფასებლობა არავის ეპატიება! თუ თქვენ ისევ ჯიუტად დაიცავთ დრომოჭმულ, მცდარ შეხედულებას, რუსეთში ან შუა აზიის რესპუბლიკებში გასალების იმედით კვლავ თქვენის გატანას ფიქრობთ, ვალუტის შემოტანისა რა მოგახსენოთ (რაც ეხოდენ ჭირდება რესპუბლიკას), იმ „ერთგულ" კლიენტებსაც და ხაბჭოთა მანეთებსაც დაკარგავთ!**

ამასთან, ნუთუ იხედაც არ გიფიქრიათ, რომ ამგვარი ამბიციურობა, ზედმეტი თავდაჯერებულობა, შახისებური ქედმაღლობა ხაბოლოოდ სახურველ პროგრესს დააშამათებს?

სეზონის მიწურულში, **1 ოქტომბერს, ზუგდიდის რაიონის რუხის მიკროფაბრიკაში ჩაის პლანტაციებზე ველური ნადირობის კიდევ ერთი იშვიათი მაგალითი ვიხილეთ: კოლმეურნეობის 21-ე ბრიგადას გეგმის მოსათავებლად ფინიშზე უმოწყალოდ დაუგლეჯია ისევ დაკნინებული მარადმწვანე კულტურის მწკრივები და ხვავრიელი „ნადავლი" უბოდიშოდ მიურთმევია ფაბრიკისათვის.** მასპინძლებიც თავაზიანად, ხელგაშლილნი დახვდნენ. დასახელებული მაგალითები ჩაის კულტურაზე ბარბაროსული ლაშქრობის უფერულ მასიურ მოზაიკაში პაწია კენწებივით მოჩანს. ასეთი „კენწები", სამწუხაროდ, ათასობითაა გაბნეული თვალუწვდენ მწვანე სანახებში!.. **ზუგდიდის, ხენაკის, ხობის, ჩხოროწყუს და უკვე აღნიშნული რაიონების სოფლებში „დიდი ჩაისათვის ლაშქრობის" მონაწილენი რომ აშკარად მოურიდებლად, ურცხვად ატრიალებენ დანებსა და ნამგლებს, სეზონის პიკის საათებში, გზის პირას გაშენებული პლანტაციებისათვის ერთი თვალის შევლებაც დაგარწმუნებთ! საკრეფი მანქანებიც და აპარატებიც ხომ ძველებურად მორჩილნი არიან უზნეო მეპატრონეთა ხელში!**

ყოველგვარ მოვლენას — დადებითსაც და უარყოფითსაც — აქვს განვითარების კულმინაციური წერტილი. **ჩაის პლანტაციების ექსპლუატაციის ხაგანგაშო ვითარებამაც უკვე კულმინაციურ, დანაშაულებრივ ზღვარს მიაღწია! უარესი რამ ამ სფეროში წარმოუდგენელია!** ჩაის ნედლეულისა და მისი პროდუქციის არსებითად გაუმჯობესება ახალი საქართველოს ეკონომიკური ძლიერების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია, საერთო-სახალხო საზრუნავია! ვისაც კი რაიმედ უღირს ეროვნული ინტერესები და არ სურს ძველებური ყოფის ჭაობში დარჩენა, ერთგულად და პატიოსნად უნდა ემსახუროს ამ საქმეს!

ქართულ ჩაის უნდა დაუბრუნდეს ადრინდელი ღირსება და პატივი!

ასეთი ხულისკვეთებით, სიახლის გრძნობით უნდა დაიწყოს ჩაის კრეფის ახალი სეზონი!

დე, „გ ა ჭ ე დ ი ლ ი" დარჩეს მხოლოდ ძველი ქართული სოფლის სახელად და არა შეფერხების, უძრაობის, უნაყოფო და უხარისხო გარჯილობის სიმბოლოდ!

ანზორ ბარამია,

„ნიანგის" კორესპ. ზუგდიდის ზონაში.

ხალხში მიდგარს სვეცხლი ეკიდოს?!..

აფრიკაში არის ქვეყანა, სადაც, უცხოეთიდან ჩასულ სტუმარს რომ აცილებენ, ფეხსაცმელს სველი ტილოთი აწმენდინებენ, ჩვენი მშობლიური მიწის ნამცეციც არ გაჰყვესო თან! ჩვენთან კი რა ხდება? — სხვადასხვა ჯურის გადამთიელები სოფლებად, რაიონებად, ოლქებად გვიპირებენ მიწის წაგლეჯას!..

ცხოვრებას მუდამ სჭირდება იმედიანი მესია,
აზრის და ჭკუა-გონების, სიბრძნე-სიმხნევის მლესია!
არ ვარგა კაცი წუწუნა, ხევდა-მოწყენის მთესია!
მაინც არა ვთქვა, არ ძალმიძს, რაც წუხელ ფიქრნი მესია:
ვინაც მტრობს ჩვენს ერს, მის მიწას, თავზე დაეცეს მეხია!
შიმშილით კუჭი ეწვოდეს, ვეღარ ეშოვოს ძეხვია,
წყალში მდგარს ცეცხლი ეკიდოს, თან თავს ესხმოდეს ვეფხვია,
გონება ისე წაერთვას, ვარდად ეჩვენოს ნეხვია,
მახეში ისე გაებას, ვეღარ ეხმაროს ხერხია,
ეწადოს, ხურდეს, — ცხოვრებას ვეღარ აუწყოს ფეხია,
თან ხდებოდეს ხულის სიცივე, ყინვა ძვალ-რბილის მტეხია,
ეჩვენებოდეს ყვავ-ყორნად გულწითელა და მზეწვია! —
აი, ფიქრნი და ნატვრანი, უნებურად რომ მეწვია!
თუ რატომ, ალბათ, მიმიხვდით, სულაც არ არის ძნელია,
დროებამ კვლავ მოგვიმრავლა კაცნი გონებაბნელია!
თუმც გასაკვირი არც არის, ხომ გვახსოვს სიტყვა გზიანი:
„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი!“
ასეა, როცა ფრთებს გაშლის კაცი გონებამტვრიანი,
გზას ვერ პოულობს მის თავში აზრები ნამუსიანი!
ქართველნო, ერთურთს გავუგოთ, არ გავახაროთ მტერია,
გავმრავლდეთ, გავლონიერდეთ, გავაძლიეროთ ერია!

. . .

იმან, ვინც ძმურად ხელს გვიწვდის და მხარში გვიდგას მეგობრად,
იხაროს მზისა ნათელში და ჩვენ გვიგულვოს მეზობლად!
მზად ვართ, ვიყავით, ვიქნებით გაჭირვებულთა მეობად,
კვლავაც დავრჩებით მარადის სიმართლისათვის მეომრად!

შალვა გულუა

ახალი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“

ღმერთო, გვაშორე:

საკავშირო მთავრობის — ადმინისტრაცია!
ახალი საკავშირო — კოორდინაცია!
მცირე ერების შესრუტვა — აბსორბცია!
თანამდებობის პირთა მოკრთამვა — კორუფცია!
ურთიერთდაპირისპირება — კონფრონტაცია!
მსხვილი ფულის გაუქმება — კონფისკაცია!
ძარცვის ახალი ფორმა — კოოპერაცია!
ხუკის ახალი ბრიკები — კომბინაცია!
ახალი „სტუმრების“ მოძალება — კოლონიზაცია!
სიმართლის შეფერადება — კოლორიზაცია!
ბედის მორჩილება — რეზინიაცია!
ჩერნობილის აეს-ის — რადიაცია!
ვინმეს წინაშე — კონტრიბუცია!
მოშლილი „ეხეხერ“-ის — კონსტიტუცია!
ახალი თავდასხმები — აგრესია!
განმეორებითი — ანექსია!

ღმერთო, გვაღირსე:

ქართული ნიადაგის — რეკულტივაცია!
ქართული გვარდიის — რემილიტარიზაცია!
წასულ შვილთა დაბრუნება — რეპატრიაცია!
ურთიერთსიყვარულის — რესტავრაცია!
გმირული სულის — რეანიმაცია!
ყველა კანონის — რეალიზაცია!
ყველა ექსტრემისტის — ელიმინაცია!
ერის ყველა ძალის — კონსოლიდაცია!
„ეხეხერ“-ისაგან — იზოლაცია!

შეადგინა
ალექსანდრე გორგიშელმა

ტაბილი ლაპარაკი

ინსტრუქტორი ქალაქის საავადმყოფოს პროფკომიტეტის მუშაობას ამოწმებდა.

— თუ კარგად გექნებათ საქმე, შეგაქებთ, თუ არა და „გაგაკრიტიკებთ! — უთხრა მან. — თუ გაგათავისუფლებენ, ნუ გეწყინებათ, სხვას აირჩევენ!

პროფკომიტეტის თავმჯდომარეს სახეზე ბრილიანტივით ბრჭყვიალა ცრემლები ჩამოუგორდა.

— რატომ ტირით? მე ხომ ტკბილად გელაპარაკებით? — ჰკითხა ფარული შინით შეცბუნებულმა ინსტრუქტორმა.

— სწორედ იმიტომ ვტირი, ტკბილად რომ მელაპარაკებით! ერთხელ თქვენგან შემმოწმებელი მოვიდა კითხვარით ხელში. სოცშეჯიბრება რატომ არა გაქვთ კარგად დაყენებული, და სულ ლანძღვა-გინებით აგვიკლო, გვემუქრებოდა, პრეზიდიუმზე გაგიყვანთო, ისე და ისე გიზამთო! მას შერე შეშინებული ვარ!.. შეშინებულმა ძაღლმა სამ წელიწადს ჯირკს უყეფაო!.. ჯერ კი ორი წელიც არ გასულა!..

დედის ნუგეში

— წადი, შვილო, სოფელში, დახედე სახლს! რა დღეშია, ნუტავი?!..

— რა დღეში უნდა იყოს?!

— ერთი თვეა, არ გინახავს!.. თოვლმა ხომ არ წააქცია ან რამემ!..

— ნუ გეშინია, დედი, მარტო ჩვენი სახლი ხომ არაა ამ დღეში?! მთელი სოფელი აიყარა და ქალაქში გადმოსახლდა ჩვენსავით! რაც სხვის სახლს მოუვა, ის მოუვა ჩვენსასაც!

სამშობიაროში

მნახველმა ქალმა ამანათის წამღებს ხუთმანეთიანი მისცა, — ჩემი მშობიარის მდგომარეობა გაიგე და ამბავი გამომიტანეო!

ხანი გავიდა და მახარობელმა ექიმმა ამბავი მოუტანა მნახველს, — თქვენს შვილს გოგო შეეძინაო!

კიდევ გამოხდა ხანი, „ხუთმანეთიანიც“ გამოჩნდა და ახალშეძენილი გოგოს ბებია დაამშვიდა, — კარგად მიდის საქმე, თქვენი შვილიშვილი მალე იმშობიარებსო!

ალექსი გოლოვაძე





იუმორესკა

ჩემს მეგობარს — დიდი საბჭოთა კავშირის დამსახურებულ გეოლოგს, კალისტრატე (კალე) კალენიკეს ძე კატაკომბებაძეს — ჩვენი უვრცესი, უსაყვარლესი და უსათნოესი სამშობლოს ყველა კუთხე აქვს შემოვლილი — ტურუხანსკიდან კუშკამდე და ბალტიის ზღვიდან ბერინგის სრუტემდე. იგი ახლა სამოცი წლისა და ექვსი თვისაა, მაგრამ დღემდე აქტიურად ეწეოდა ნაყოფიერ საინჟინრო-გეოლოგიურ მოღვაწეობას, თუმცა ხვალიდან, ვატყობ, ახალი ცხოვრების დაწყება მოუწევს!

არადა, ვინ იფიქრებდა?!. ერთი გუგულივით უწყინარი მართალთვალება კაცი იყო ყოველთვის!.. რა მატყუარა რამ ყოფილა გარეგნობა!

ზომიერად ჭამდა, თითქმის არ სვამდა, არ ეწეოდა. მივლინებაში მოწყენილი მიდიოდა, მივლინებიდან ხალისიანი ბრუნდებოდა და ყოველი ჩამოსვლისას თან თითო დედოფალა ჩამოჰქონდა — დიახ, დიახ, დედოფალა, ხწორედ რომ მდედრობითი სქესის თოჯინა! ჩანთას რომ გახსნიდა, ვიდრე ცოლს საჩუქარს მიართმევდა, მანამ დედოფალას ამოიყვანდა ფრთხილად, თმაზე ხელს გადაუსვამდა, კაბას შეუსწორებდა და ორსართულიან განიერ თაროზე სხვა დობილებს მიუსვამდა გვერდით.

დიდებული კოლექცია ჰქონდა! ქერათმიანი, ჩალისფერთმიანი, შავთმიანი, ცისფერთვალება, თაფლისფერთვალება, ჭროლათვალება, ლოყაწითელა, ფერმკრთალი, ხორბლისფერსახიანი, შავტუხა, ჩასუქებული, გამხდარი, თეძოგანიერი, კანჭმაღალი, ცხვირპაჭუა, მოკლეკაბიანი, ფართხუნაზალათიანი, შარვლიანი და, რა ვიცი, კიდევ რანაირი გარეგნობისა და რანაირად ჩაცმული დედოფალები ჰქონდა... უკაცრავად, ჰყავდა!..

ყოველ მათგანს საკუთარი სახელი ერქვა, თუმცა ამათში ხუთი ვალია იყო, სამი — მარუსია, ორი — ნატაშა, ორი ლილიანა, ერთი — ხვეტა, ერთი — სტელა, თერთმეტი — ნადია, ცხრა — ვერა, ერთი — ძაბული, ექვსი — ლიუდა, თოთხმეტი თუ თექვსმეტი — ტანია, სამი — ნინა!.. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მარტო მან იცოდა ყოველი მათგანის სახელი და ნებისმიერს რომ დავადებდი თითს, მაშინვე ღიმილით შემახსენებდა, კატია იყო, თამარა თუ ნიურა, ჟენია თუ დარიხა, ახია, ფატიმა თუ აქსინია!..

გუშინ ვესტუმრე ჩემს მეგობარს, მაგრამ ნეტა ფეხი მომტეხოდა და არ მივსულიყავი!

კარი გამიღო თუ არა, გულმა რეჩხი მიყო: სახე ისე ჩამოსტიროდა, მაშინვე ვიაზრე, ფარსაგი რამ სჭირდა!..

— რა მოხდა, კალე?! — ვკითხე შეშფოთებულმა.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია.

— ქეთო ხომ კარგადაა? — მეუღლე მოვიკითხე.

— ერთი მაგისი!.. — ჩაიდუდუნა. — მაგას რა უჭირს!

— მაშ, რა ამბავია, აღარ იტყვი, კაცო?

მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა და მოპირდაპირე კედელს მიაპყრო სევდიანი მზერა. მის მზერას თვალი გავადევნე და გაკვირვებისაგან პირი დავაღე — დედოფალების თარო ცარიელი იყო!..

— რა ჰქენი, კაცო, გაყიდე თოჯინები?! — აღმომხდა უნებლიეთ.

— იჰ! — ჩაიქნია ხელი. — გავყიდე კი არა... მაგათი გამყიდველი ვიყავი მეე?

— აბა, რა იქნენ?!

თითით ზურგს უკან მიმანიშნა. იქით სადარბაზოს კარი იყო.

— ადამიანურად ვერ მეტყვი?

— ნაგვის ბუნკერში ჩაყარა ქეთომ. ამ დილას მანქანა იყო და ათასნაირ ნაგავს ჩემი დედოფალებიც გააყოლა. — კალემ თავი მიაბრუნა, მივხვდი, ცრემლებს მიმალავდა.

— რას ერჩოდა, ადამიანო?! — გულწრფელად გამიკვირდა.

— ეჰ! — ამოიოხრა და გული ამოატანა თან. — ხვეტას ვეფერებოდი!..

— რაა?! — ხმამაღლა ველარ ვთქვი, დავიჩურჩულე.

— ხვეტას ვეფერებოდი, — გაიმეორა. — სვერდლოვსკში მყავდა ამ ოციოდე წლის წინათ. რა გოგო იყო!.. ლენინის გამზირზე იმისთანა მეორე არ დადიოდა! — ტანკენარი, ცისფერთვალება, კანჭმაღალი! ხომ გახსოვს?!. ეჰ!..

კი, მახსოვდა ხვეტა!.. მართლა ლამაზი დედოფალა იყო!..

— მერე?! — მოთმინება არ მეყო.

— ქეთო შემოსულიყო უჩუმრად. ხვეტას პირველი ღამე გავახსენე თავისი დეტალებით. კაბა შევუსწორე, თაროზე შემოვსვი და ახლა ტანია მეთორმეტეს წავავლე ხელი. ტანია მეთორმეტე კიევში მყავდა. შავთვალწარბა გოგო იყო, ოდნავ ჩასუქებული, მაგრამ უნაკლო აღნაგობისა. ცალკე გვქონდა დაქირავებული ბინა ერთი დედაბრისას. ცეცხლივით იყო დალოცვილი!..

— დედაბერი? — უკვე ძლივს ვიკავებდი სიცილს.

— აბდალი ხარ შენ! დედაბერი კი არა, ტანია იყო ცეცხლივით. ხორბლისფერი კანი ჰქონდა. ალისფერი ტუჩები. არ გახსოვს? ზედა თაროს ცენტრში იდგა, ნაცრისფერი, წინწკლებიანი გულამოღებული კაბა ეცვა!..

— ჰო, ჰო, მახსოვს! მერე? — აშკარად აღარ მყოფნიდა მოთმინება.

— მერე რა, ქეთო დგას თურმე კარში და მისმენს. მიყურა და მისმინა თურმე. მიყურა და მისმინა. ბოლოს ის იყო, ფატიმა ჩამოვსვი და მეცა კიდეც ვეფხვივით!..

ახლა უკვე ველარ შევიკავე სიცილი — ქეთო ას ორმოც კილოს იწონიდა და როგორი წარმოსადგენი იყო მისი ვეფხვისებური ნახტომი?!.

— იცინე შენ, იცინე! — გულმოკლულმა დააქნია თავი. — ფატიმა ხელიდან გამომგლიჯა, მაგიდიდან სუფრა დაითრია, მოხვეტა ეს ჩემი დედოფალები, სუფრაში შეახვია, წაიღო და ბუნკერში ჩაუძახა!.. შემობრუნდა და დედა არ უგინებია, თორემ სხვა არაფერი დაუკლია ჩემთვის!..

— ცუდი ამბავი მოგსვლია, — გავინაწილე მისი მწუხარება. — მაგრამ არა უშავს, კიდევ შეაგროვებ კოლექციას! — გავამხნევე. — ტანიებისა და ხვეტების მეტი რაა რუსეთსა და მის მაღაზიებში?!

— გათავდა ეგ ამბავი! — ამოიოხრა კალემ. — დღეს განცხადება დავწერე სამსახურში. პენსიაზე გავდივარ! შინაური პატიმრობა მომესაჯა, უკასაციო, უვადო!

ახლა კი მართლა შემეცოდა ჩემი მეგობარი.

— აბა, რაღა უნდა ქნა აწი? — ვკითხე გულდათუთქულმა.

— არ ვიცი, არ ვიცი!.. — ჩაიჩურჩულა. მერე გადაიხარა, საწოლს გადასწვდა, ლეიბის კიდე წამოსწია და იქიდან ერთი თავთუხისფერთმიანი, მოკლეკაბიანი დედოფალა გამოაძვრინა. — ესღა შემრჩა, საწოლქვეშ დამალულიყო, საცოდავი! — თმაზე ხელი გადაუსვა, კაბა შეუსწორა. — ეს ვალია მეორეა, ივანოვოელი. დედა პოლონელი ჰყავდა, მამა რუსი! ეჰ, რა გოგო იყო!..

ნუგზარ აფხაზავა



№ 2.16
26.IV 1991

სატელევიზიო პროგრამა „ვრემიასათვის“
ყოველდღე პირველი აპრილია!

ნახ. ზაქარია გიგოლაშვილისა

ახალი პექსპირიანა

წუხდა ჰერტრუდა, ლოყებს იბოკდა,
— მეც დამმარხეთო ძვირფას ქმართან! —
ამას ითხოვდა!..
... მერე ორი თვეც არ გასულა,
რაც მაზლს მისთხოვდა!..

* * *

თავის ქალები ამოჰყვა მიწას,
საფლავს რომ თხრიდნენ უბედური ოფელიასი!..
მოსკოვისაკენ ელვა-ცნობა აფრინეს იმ წამს!
მალე რუსულმა გაზეთებმა მორთეს ვნიასი:
„სამარხს წააწყდნენ სტალინური რეპრესიების იქაც. ზორეულ დანიაში!..“
მერე სიების
თავში ხუმარის — იორიკის — დასვეს სახელი,
დაასაჩუქრეს იმ სამარხის პირველმნახველი!..

* * *

საგვირგვინე კუზი აკვნიდან მიჩანდა! —
თავს ეს ჩააგონა რიჩარდმა,
კუზზე მოიკიდა გვამები გვემული
და ტახტის გზას გაჰყვა... შემსუბუქებული!..

* * *

თამასუქი ტალონივით რომ დააძრო შაილოკმა,
ტუჩი ხორცის (ერთ გირვანქის!) მოლოდინში გაილოკა.
მევახშისთვის მინდა კითხვის შეგებება:
— ხორცი, გულთან ამოჭრილი, შეგერგება?

* * *

შემოუთვალა, — გირჩევნია, მომერიდოო,
ვერ მოგათხოვებ ჩემს ასულსა, როდერიგოო!..
ატყდა ჩოჩქოლი ბრაბანციოს სახლის ფანჯრებთან,
ლანძღვა-გინება რომ დაიწყეს,
აღარ გაჩერდნენ,
საბრალო მოხუცს დაემუქრნენ —
ვინ ქვით, ვინ კეტით!..
... ისტორიულად ეს პირველი იყო პიკეტი!..

* * *

ერთ მიწის შვილნი თუ ერთმანეთს
ასე დევნიან!..
სისხლს რომ დავიდენო, ვითომ მერე
გამოვკეთდებით?!.
... ის ვერონელი ცოდვილები მახსენდებიან —
კაპულეტები და მონტეგები!..

თამაზ ეგანოვიძე

საბჭოთა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №7 (1833), აპრილი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჯაბა ამირეჯიბი, ნომადი ბარათაია, რევაზ თევზაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ ფალავანია, ალექსანდრე ხასხონია, ბუბა სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წოწორიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

ჯადაეცა ასაწყობად 04. 03. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 04. 91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა“. შეკვ. №477. ტირაჟი 70.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი ნიხაბართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარ. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.

ფასი 40 კაპ.

ინდექსი 76167

91-215

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა



КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ